კანტორა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
თავ.-აზნაური კარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირ-და-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363

## დამდეგი 1899 წლისათვის მიიღება ხელის-მოწერა
## გაზეთ „ცნობის ფურცელზე"

ფასი წლიურად **6** მან., ნახევარის წლით **4** მან., ერთის თვით **60** კაპ.

ვინც ამ თვეშივე გამოიწერს ერთის წლით, იმას ერთი თვე მუქთად დაეთმობა გაზეთი

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, **17** დეკემბერს

ბენეფისი **ვ. ა. აბაშიძისა**

ქართულ დრამატიული საზოგადოების არტისტებისაგან ქ-ნ ნ. გაბუნია-ცაგარლის და ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

I

### ბირია მონასტერი

კომედია 3 მოქმ. გადმოქართ. თავ. დ. ერისთავის-მიერ.

II

მოქმედება შილლერის დრამიდამ

### ყაჩაღები

III

მესამე მოქმედება ა. ცაგარლის კომედიიდამ

### ხანუმა

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი

**ადგილების ფასი ჩვეულებრივია**

დასაწყისი სწორედ 8 საათზე

რეჟისორნი: **ვ. აბაშიძე** და **კ. მესხი**

---

### შპალერების საწყობი
## ი. გ. მილიქიშვილისა

ტფილისი, სასახლის ქ. სათავ.-აზნ. სახლი № 102

ყოველთვის იშოვება მრავალი ხარისხის შპალერი

ფასი ყველაფერზე იაფია

შპალერი თვითო ნაჭერი **8** კაპ. მოყოლებული 20 მანათამდე ოთახ-დარბაზების მოსართავი და გასწყობი სამკაულები.

### Депо обоевъ
## I. Г. МЕЛИКОВА

Тифлисъ, Дворцовая ул., д. Грузинскаго Дворянства (бывш. Арцруни) № 102, около муз. магаз. ЛАНКО. (100 - 88)

---

გაბრიელ ეპისკოპოსის

### სადარბაზო სურათი

ტუშით დახატული, ერთის ალაბის სიმაღლე და სიგანე, მშვენიერ ხავერდის ჩარჩოში ჩასმული, ისყიდება „ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრ. საზოგადოებაში". ფასი **35** მან. (5—5)

---

### კბილის ექიმი

ალექსანდრე სოლოლაშვილი

მიიღებს ავადმყოფებს ყოველდღე, დილის **9—2** საათამდე და საღამოს **5—7** საათამდე

მიხეილის ქუჩა № **32**

(30—23)

---

## დაიბეჭდა და ისყიდება

ახალი ქართული წიგნი

# სიტყვიერების თეორია

სალიტერატურო ნიმუშების კრებულით ანუ ქრისტომატიით, რომელიც ორ ნაწილად არის შემდგარი

წიგნი დანიშნულია სახელმძღვანელოდ და სახმარებლად სათავად-აზნაურო სკოლებისა, სასულიერო სასწავლებლებისა, საოსტატო და სამართლმადიდებლო სემინარიებისა და დედათა საეპარქიო სკოლებისათვის.

შედგენილია **კირიონ ალავერდის ეპისკოპოსისა და გრიგოლ ყიფშიძის მიერ.**

მოკლე შინაარსი სიტყვიერების თეორიისა: წინასიტყვაობა.—შესავალი.—თეორია ენისა ანუ სტილისტიკა.—პროზა ანუ თეორია პროზისა.—თეორია პოეზიისა.—პოეზია საეპიკო და სალირიკო.—სადრამო პოეზია.

მოკლე შინაარსი სალიტერატურო ნიმუშების კრებულისა: ნაწილი I. აღწერანი მარტივნი და მხატვრობითნი.—მგზავრის წერილები.—მოთხრობითნი თხზულებანი, ბიოგრაფია და დახასიათებანი.—მსჯელობითნი თხზულებანი.—საორატორო პროზა: მჭევრ-მეტყველებ საპოლიტიკო, სახოტბო და სასულიერო.

ნაწილი II. საეპიკო პოეზია.—საერო ეპოსი.—ესკიზი, ამბავი და მოთხრობა.—იდილიები, იგავი-არაკნი და ბალადები.—სალირიკო პოეზია: სატირა, ოდა, ელეგია, სალირიკო ლექსნი, ლექსნი, დაწერილნი საერო კილოზე, ხალხურნი ლექსნი, ჰიმნი, მადრიგალი, ეპიტაფია, ეპიგრამა. (ამ უკანასკნელ განყოფილებაში მოთავსებულია, სხვათა შორის, საუკეთესო სალირიკო ლექსები ჩვენის პოეტებისა).

მთლად წიგნი, ესე იგი სიტყვიერების თეორია და კრებული ნიმუშებისა (ქრის-ტომატია) ორ-ნაწილად, საკმაოდ მოზრდილის ტანისაა და შეიცავს 640 გვერდს ანუ სტამბის $20\frac{1}{2}$ თაბახს და ჰღირს **ერთი მანათი.**

წიგნის მაღაზიებს და საზოგადოდ ყველას, ვინც ათს ცალზედ ნაკლებ არ იყიდის, 20% დაეთმობა.

საწყობი წიგნისა „წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში

---

იქვე ისყიდება ახალი ქართული წიგნი.

უცხო მწერალთა ამბავნი და მოთხრობანი

თარგ. გრ. ყიფშიძის მიერ. ფასი სამი შაური. (10—1)

---

დოქტორი მედიცინისა და ქირურგი

### ბენკლევსკი

ავადმყოფებს ღებულობს დილის **9—11** საათამდე და საღამოს **5—7** საათამდე.

გრიბოედოვის ქუჩა, არშაკუნისეული

სახლი № 30.

### Докторъ медицины и хирургъ
## БЕНКЛЕВСКІЙ

Грибоѣдовская № 30, д. бывш. Аршакуни. (წ.)

სამკურნალო და ამბულატორია

**ს. ბ. თოფურიასი**

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე· შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.** საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. კ. ზერრატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოზანი.**

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r **ф. ბაცევიჩი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. კ. ვარშავსკი.**

ამბულატორიასთან არის კაბინეტი საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისთვის. სამკურნალო დირექტორი **ს. ბ. თოფურია.**

*Лѣчебница В. С. Топурія* въ Кутаисѣ.

# ახალი ამბავი

*** ახალი წიგნი, —ანტონ ქუონდიდელის ქადაგებანი. ჩვენი სასულიერო მწერლობა ფრიად მდიდარია სხვა-და-სხვა თხზულებებითა, მაგრამ უმეტესი ნაწილი თხზულებათა ხელნაწერად არის დარჩენილი და მათგან ცოტა რამ გვაქვს დაბეჭდილი. ამიტომ ჩვენის გულწრფელის მადლობის ღირსია მისი მეუფება, იმერეთის მღვდელ-მთავარი, ყოვლად-სამღვდელო ვესარიონი, რომელსაც კეთილ უნებებია და თავისის საფასით გამოუცია ჩვენის სასიქადულო მწყემსმთავარის ანტონ ჭყონდიდელის ქადაგებანი. ანტონ ჭყონდიდელი ეკუთვნის საქართველოს ეკლესის ერთგულ და თავდადებულ დარაჯთა გუნდს. თავის ღვთით მომადლებულის მჭევრმეტყველებით სცდილობდა სამწყემსო თვისი დაეყენებინა გზასა მართალთა ზედა, ესწავლებინა ქრისტეს მოძღვრება და მაცხოვრის მოსავთა რიცხვი განევრცელებინა. მისთა ქადაგებათა ღირსეული დამფასებლები ჰყავდა ამიერ და იმიერ საქართველოში. და ჩვენის აზრით, ეს არის მიზეზი იმისა, რომ ხელნაწერმა აქამდე მოაღწია. ანტონი იყო შვილი სამეგრელოს მთავრის ოტია დადიანისა, რომელიც სამეგრელოს მართავდა 1728—1729 წლებში. მაგრამ მისი ცხოვრება აღწერილი აქვს ჩვენს პატივცემულს ისტორიკოსს ბ-ნს თ. ჟორდანიას თვის წინასიტყვაობაში, რომელიც წარუმძღვანებია ამ ძვირფას წიგნისათვის. ხსენებულს წიგნში მოთავსებულია, მერე ქადაგებანი ცალკ-ცალკე წიგნებადაც გამოვიდეს, რათა უფრო მოიფინოს და გავრცელდეს ხალხში სწავლანი სულმნათის მოძღვრისა. ჩვენ იმედი გვაქვს, ამ ჩვენის სამღვდელოების მიერ საკმაოდ იქმნებიან დაფასებულნი და ამიტომ ვისურვებთ მისს გავრცელებას. წიგნი საკმაოდ მოზრდილია და ღირს მანეთნახევარი.

*** ახალი წიგნი. ჩვენ მივიღეთ ახლად გამოსული სახელმძღვანელო წიგნი შედგენილი ყოვლად სამღვდელო კირიონის და გრ. ყიფშიძის მიერ „სიტყვიერების თეორია სალიტერატურო ნიმუშების კრებულის ანუ ქრისტომატიის დამატებით“.

წიგნი საუცხოვოდ არის გამოცემული შეიცავს 640 გვერდს დიდის ზომისას და ძრიელ იაფად ღირს, სულ ერთი მან. დაწვრილებით ამ წიგნზე გვექნება ხვალ.

*** მთავარ-მართებლის დარბაზობა კათალიკოსთან. კავკასიის მთავარ-მართებელი 12 დეკემბერს სადარბაზოდ იყო სომხთა პატრიარქ-კათალიკოს მკრტიჩ ხრიმიანთან.

*** ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი გენ.-მ. გერშელმანი გაემგზავრა ტფილისიდან ქუთაისში.

*** თვალის მკურნალობა. იმპერატრიცის მარიამ ალექსანდრეს ასულის სამზრუნველს განყოფილების თვალის სამკურნალოში ამ წლის ნოემბერის განმავლობაში ექიმებს გაუსინჯავათ 2,067 ავადმყოფი და ოპერაცია გაუკეთებიათ 70 კაცისათვის.

*** ოსმალეთის სომეხთა გაგზავნა კავკასიიდგან. ტფილისის პოლიცმეისტერმა წინადადება მისცა პოლიციის ბოქაულებს, წარმომიდგინეთ ხუთი დღის განმავლობაში ოსმალეთიდან კავკასიაში გამოქცეულ სომეხთა სახელების სია, რომლებიც ძალად უნდა გაგზავნილ იქმნენ ოსმალეთში, რადგან ერთი წლის ვადა, რომელიც მათ მიეცათ გადასახლებისათვის, უკვე გავიდაო. ხუთი დღე უკვე გავიდა, მაგრამ ბოქაულებს, ზოგიერთებს გარდა, ჯერ კიდევ არ წარუდგენიათ საჭირო სიები.

*** მოწაფეთა ნამუშავრის შემოწმება. 13 დეკემბერს, ქალაქის მიხეილის სახელოსნო სასწავლებელში შეამოწმეს მოწაფეთა ნამუშავარი ხელოსანთა გამგეობიდან და რკინის გზის უმთავრეს სახელოსნოდან მოწვეულმა სპეციალისტებმა. შემოწმებას დაესწრნენ ქალაქის მოურავი, საბჭოს ხმოსნები და მრავალი გარეშე პირი.

*** საჩივარი დამფასებელ კომისიაზე. ქალაქის გამგეობამ მიიღო 300 საჩივარი საბჭოს აღმასრულებელ კომისიაზე, რომელსაც ბრალდება მომჩივანთაგან უწესო მოქმედება ტფილისის უძრავ ქონებათა დაფასების შესახებ ამ საჩივრების განხილვა განზრახულია ამ თვის დამლევს.

*** სამრევლო სკოლების ზედამხედველთა კრება. 11 დეკემბრიდან ტფილისში გაიხსნი საქართველოს საექსარხოსო სამრევლო სკოლების ზედამხედველთა კრება. კრების საგანია განიხილოს კითხვები სამრევლო სკოლებში აღზრდა-სწავლებისა და მეურნეობის შესახებ. სახელდობრ ის კითხვებია: ეპარქიის თვითეულ მაზრაში რამდენიმე საქალებო სკოლის გახსნა სახელობა-განყოფილებით, აღზრდა და ზნეობრივი მხრით სკოლების უკეთესად დაყენება, მოწაფეთა მიერ სკოლების კურსის გაუვლელობის მიზეზები, საცოლო, სამოსწავლო და სამასწავლებლო წიგნთ-საცავების და სამოსწავლო საგნების საწყობთა დაარსება, მოზრდილთათვის საღამოს კურსების დაარსება, მასწავლებელთა ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესება, მოწაფეთა დამხმარე საზოგადოების და საურთიერთო-დამხმარე კასის დაარსება და. სხ. კრებაში მონაწილეობას იღებს 60 მღვდელი. კრება გასტანს რამდენსამე დღეს.

*** სავაჭრო სახლს „მირს“, რომელსაც თამბაქოს ქარხნა აქვს ტფილისში, განუზრახავთ თავისი წარმოების გაფართოვება და ამ აზრით გადაუწყვეტია მექანიკურ მანქანების დადგმა პაპიროსების გასაკეთებლად. მუშებსა და მექარხნეთა შორის დამოკიდებულების გასაწესრიგებლად მექარხნეთ წარუდგენიათ პოლიცმეისტრისათვის წესები პაპიროსების მკეთებელ მუშათა შესახებ. ამ წესდებულობით, ყველა ის მუშები, რომლებიც ხელით აკეთებენ პაპიროსებს, დარჩებიან ქარხანაში ძველი ქირით, თუ მუშა ერთ თვეზე მეტ ხანს განშორდა ქარხანას მისი მმართველის ნება-დაურთველად, დათხოვნილ იქნება უსაჩუქროდ, ხოლო თუ მუშა თავისგან დამოუკიდებელ მიზეზის გამო იქმნა დათხოვნილი, მიიღებს ერთი თვის ჯამაგირს უკანასკნელი 6 თვის და თითქმის მთელი წლის საშუალო ქირის კვალობაზე.

*** პოლიციური ზედამხედველობა ქარხნებ-ფაბრიკებზე. საპოლიციო დეპარტამენტს ცირკულარები დაუგზავნია ამიერ-კავკასიის საგუბერნიო მთავრობათათვის იმის შესახებ, რომ გაძლიერებულ იქმნეს პოლიციური ზედამხედველობა ქარხნებ-ფაბრიკებიან გუბერნიებში.

*** შემწეობის დანიშვნა. კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის განკარგულებით, ფულით შემწეობა დაენიშნა გორის მაზრის იმ ულარიბეს მცხოვრებთ, რომლებსაც ვენახები გაუჩეხეს ფილოქსერასთან ბრძოლის დროს. შემწეობა უნდა დარიგდეს თვით იმ სასოფლო საზოგადოებათა მიერ, რომლებშიაც ირიცხებიან გაჩეხილ ვენახების პატრონები. ცხინვალის სასოფლო საზოგადოების ვენახის პატრონებისათვის დანიშნულია 32 მან., სოფ. წუნარის ვენახის პატრონებისთვის—101 მ., სოფ. დირბის ვენახის პატრონთათვის—330 მ. და სოფ. ტეზერისა, საქანლის-ტეზერისა და შექამის ვენახის პატრონთათვის—35 მანეთი

*** ავადმყოფობა ტფილისში. რადგან ამ ჟამად ორივე გადამდებ სენთათვის დანიშნული ფარდული მთლად გაივსო ავადმყოფებით და რადგან ტფილისში არისპობა ყვავილი, 12 დეკემბერს სამკურნალო სასანიტარო ინსპექტორმა სთხოვა ქალაქის გამგეობას, გადასდოს ქალაქმა საჭირო ფული ყვავილით ავადმყოფთათვის კერძო სადგომში 30 საწოლიან საავადმყოფოს გასახსნელადო.

ტფილისის მიხეილის საავადმყოფოს უფროსმა ექიმმა აცნობა ქალაქის გამგეობას: რადგან მიხეილის საავადმყოფოს გადამდებ სენით ავადმყოფთა განყოფილებაში სახადით ავადმყოფები მოჰყავთ და რადგან საავადმყოფოში ადგილი აღარ არის, განკარგულება მოვახდინე, რომ გამოწერილ იქმნენ საავადმყოფოდან და აღარ იქმნენ იქ მიღებულნი ყვავილით ავადმყოფებიო.

*** პირველი თოვლი. საუცხოვო, თითქმის საგაზაფხულო დარების შემდეგ, 13 ქრისტეშობისთვეს ტფილისში მოვიდა პირველი თოვლი. თოვა დილას დაიწყო და საღამომდე თითქმის ერთი ალაბის სიმაღლე თოვლი დასდო. მაშინვე მარხილებმა დაიწყეს დენა. სიცივე 2°- დგას.

*** ახალი საზოგადოების პროექტი. ფოთ-ქიათურის შავი ქვისა და ლითონის მწარმოებელ საზოგადოების წესდების პროექტი, როგორც „ნოვ. ობ.“-ს გაუგონია

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვე შეუმუშავებიათ და წარუდ-ენიათ დასამტკიცებლად კავკასიის უმაღლეს მთავრობისათვის.

*** ნავთის გაყიდვა ქუთაისში. ...ოში აქვთ ჩაგდებული ორ-სამ ...ცს, რომლებიც შეუბრალებლად ძარცვავენ ადგილობრივ მცხოვ-რებთ, რადგან ამ აუცილებლად სა-ჭირო სავაჭრო ნივთზე დაწესებული აქვთ სრულიად შეუფერებელი დიდი ფა-...ბი. ამ გარემოებამ აიძულა ქუ-...აისის ქალაქის გამგეობა თავის ...არჯით ნავთის გაყიდვის დაწყებას და ამ აზრით მან მოსთხოვა ამიერ ...ავკასიის რკინის გზას, მოგვეცით ...ლაქის სასარგებლოდ ორი ნავ-...ის აუზი, რომელიც არის ქუთაი-...სის სადგურზეო.

*** ბაგურაანას რკანას გზის გა-...ვანა, როგორც ისმის, დამთავრ-...ება მომავალ წელს.

*** კათოლიკოსის დარბაზობა ...ქსარხოსთან. 12 დეკემბერს, სომე-თა კათოლიკოსი სადარბაზოდ იყო ...აქართველოს ექსარხოსთან.

*** თავად-აზნაურთა საქმეები. ...კილისის გუბერნატორს დ. ს. ...ა. ბიკოვს აუწყა ტფილისის გუ-ბერნიის თავად-აზნაურთა წინამძ-ღოლმა, რომ ნება დართულია 10 თებერვლისათვის თავად-აზნაურთა საგანგებო კრების მოწვევა შესახებ კავკასიაში ერობის შემოღებისა და ტფილისის გუბერნიის სათავად-აზ-ნაურო საად.-მამ. ბანკის საზოგა-დო კრებებზე თავად-აზნაურთა წა-რმომადგენლობისა; ამის გამო გუ-ბერნატორი დაეკითხა წინამძღო-...ს, რა მიზეზის გამო არ წარედგინა ...კითხვები განსახილველად თა-...ად-აზნაურთ თავის დროზე და ...არის თუ არა მოსახერხებელი, ...ომ ამ კითხვების განხილვა უფრო ...აჩქაროდ მოხდესო.

*** ს. ძიძათი. (იმერეთის მაზრა) მდიდარი ბუნება. ...ათი ეკუთვნის ჩოჩხათის საზოგადოებას და შეიცავს ოცდა-ხუთამდე მკვი-დრს. ეს სოფელი პატარ-ძალივით შემკულია და კოხტათ წამოჭიმუ-ული მაღალ გორზედ, დასავლეთ ჩრდილოეთის მხრით შემორტყმუ-ლი აქვს მაღალი კლდეები, აღმო-სავლეთ-სამხრეთის მხრით კი დაბუ-რული, ეგრეთ წოდებულ „შავის ტყე“ რომელშიაც წინეთ ბუდობ-და აუარებელი ნადირი: დათვი, მგელი, ირემი გარეული ღორი, შველი და სხვ. იმ დროს ეს ტყე მშვენიერი სანახავი იყო, მნა-ხველი განცვიფრებაში მოყავდა მშვენიერს და აუარებელ თვალ-აუ-წვდენელს მშვენიერი ჯიშის ხეე-ბს, რომლებიც ამაყათ დასცქე-როდა არი-მარეს, მაგრამ შეუბრა-ლებელმა ბარბაროსობამ ეს ტყე გაანადგურა. დღეს აგერ-აგერ ნა-ხავთ მხოლოთ წიფლის ხეს და გულ შესაზარ სურათს წარმოგიდგენს მი-წაზედ დაგორებული ვეებერთელა დამპალი: წიფლის, ცაცხვის და სხ. ხეები. შიგ სოფელში აქა-იქ ამო-ჩუხჩუხებს მშვენიერი ანკარა ცივი წყლები, ჰაერიც ხომ მშვენიერია! პირუტყვებისთვის საკვებ-საძოვარ ბლომათ აქვთ და ამის გამო აქ ში-ნაური პირუტყვის მოშენებასაც კარგათ მისდევენ. ვენახის მოსავა-ლიც შედარებით სხვა ახლო-მახლო სოფლებზე წინ სდგას. უმ-თავრესი ნაკლულევანება აქ გზის უქონლობა იყო დასავლეთის მხრი-დან, რადგანაც აქ გზის გაკეთებას ხელს უშლიდა კლდეები. არა მგო-ნია ასეთი ერთობა და კეთილ-გა-ნწყობილი მეზობლობა სხვა სოფ-ლებში სადმე იყოს; მოილაპარაკეს და წელს ამ კლდეზედ ამოსავალი გზაც გაიკეთეს, რომლითაც თავი-სუფლათ ურემიც ამოვა.

— გზების მდგომარეობა. ჩოჩ-ხათის საზოგადოებას აქვს სიგრძე ოცდა ხუთი და სიგანე არა ნაკ-ლები ოცი ვერსტისა. მთელი მი-სი სივრცე დაახლოვებით აღემატე-ბა 23 ათას ოთხ-კუთხ დესეტინას. ამოდენა სივრცეზედ სცხოვრებს რვაასამდე მკვიდრი, რომელთაგან სამუშაოზე ათასი მუშა კაცის გა-წვევა შეიძლება, მაგრამ ეს ვეებერ-თელა კუთხით-კუთხემდის რომ მოიაროთ, ერთი რიგიანათ გა-კეთებულ გზას ვერ შეხვდებით, თუმცა-ღა ამ სოფელს საპატიო მამასახლისები ყავდა, მაგრამ ეს მხოლოთ „ფორმალურათ“, საქმით კი ნურას ვიტყვით... ამ სოფლის მღვდელი, განსვენებული სალუ-ქვაძე, თავდადებული იყო გზების გაყვანისათვის და ყოველ დღე, წირვა-ლოცვისგან თავისუ-ფალ დროს, ის განუწყვეტლივ მუშაობდა გზებზედ, რითაც დი-დი სიყვარული დაიმსახურა სო-ფელში. მის ნაკეთებ გზას ეხლაც ...შირად ნახავთ, თორემ არ იფიქ-როთ სხვებს რამე გაეკეთებინათ. ეხლანდელი მამასახლისი ნ. გურ-გენაძე კი მადლობის ღირსი იქმ-ნება, თუ მან „მოკანდრახტე“ კა-ლაძეს პირობის თანხმათ შეასრუ-ლებია გზის გაკეთება, სადგურ სუფსიდან ჯემათის საზოგადოებამ-დის.

ლაშის-პირელი.

*** დიდი ჯიხაიში. სოფლის წარმატება. ჯიხაიში ერთი საუკე-თესო სოფელთაგანია მთელ ვაკე იმერეთში, როგორც მცხოვრე-ბელთა რიცხვით, ისე საზოგადო წარმატებით. ბევრი საზოგადო საქ-მეა აქ წამოწყობილი და ურიგო არ იქნება მათ შესახებ ორიოდე სიტყვა ვთქვათ.

ამ ექვსი წლის წინად, ბ. ნ. ნი-კოლაძის მეცადინეობით და თაოს-ნობით, ჩვენ მხარეში შესდგა ერ-თი საყურადღებო ამხანაგობა, რომლის მიზანიც ცხენის წყლი-დან სარწყავი არხების გამოყვანა იყო ჩვენს ახლო-მახლო სოფლებ-ზე. ამ ამხანაგობაში მონაწილეო-ბა მიიღო, ხონმა, ივანდიდმა, დი-დმა და პატარა ჯიხაიშმა, გუბმა და სხ. რასაკვირველია, ამხანაგო-ბის შედგენას დიდი ვაი-ვაგლახი დასჭირდა, რადგან ეს კერძო პირ-თა თაოსნობა იყო და არა მთავ-რობის საზოგადო სავალდებულო განკარგულება და მაშასადამე, ნებით ამხანაგობის წევრების შე-ძენა ყოვლად შეუძლებელი იყო. აქ საჭირო იყო ჩაგონება, ხვეწნა და მუდარება და კიდევაც ასე იქ-ცეოდნენ საქმის მოთავენი და მა-თი „აგენტები“. გაიმართა ხელის მოწერა, ზოგმა 5 მან. გამოიღო ზოგმა 10 და ასე 200 მ. ერთი სიტყვით, ასე თუ ისე შეს-დგა დიდძალი ფული. ფული შე-იკრიბა რამდენიმე აღნიშნულ კაც-თა ხელში, რომელთაგანმაც პირვე-ლი ადგილი ეჭირა ბ. შარაშიძეს და ბ. ტატიშვილს ეს „დიდძალი ფული“ შთაინთქა „წყვდიადსა შინა უფსკრულისასა“. მისი გამოკიდე-ბა გვიანღაა, და ამაზე ახლა ისევ სიჩუმე სჯობს, მით უმეტეს, რომ იმ ფულიდან 700—800 მ. მაინც საქმეს მოხმარდა და ამ სახით შეს-ყიდულ იქმნა 3—4 ვერ. სავრცე არხის გასატარებელი ადგილი კერ-ძო პირებისაგან. დიალ წყალი გა-დმოყვანილ იქმნა და განაწილდა ხუთ უმთავრეს ლიანდაგად, რო-მელთაგანაც ორი დიდჯიხაიშზე გამოდის ერთი გუბზე და მახლო-ბელ სოფლებზე, და სხ. ასე იყო თუ ისე წყლის გამოყვანის საქმე დასრულდა.

ადგილობრივი მემატიანე

# სამეცნიერო ცნობა

## მცენარეთა მეტყველება (ბოტანიკა)

(შემდეგი *)

შავი თუთა ხართუთა. (ქართუ-ლი) წითელი ბჟოლა (იმერული) დჯაპი (მეგრული) ბიკვაცბა (აფხა-ზური) სევთუთ (სომხური) ხარ-თუთ (თათრული) შელკოვიცა ჩორ-ნაია (რუსული) მორუს ნიგრა (ლათინური). ეს ჯიშის თუთა ირ-ჩევა ზემოთ აღწერილ ჯიშის თუ-თებს იმით რომ ამას მოაქვს კაკ-ლის ტოლა, შავი ნაყოფი აქვს მსხვილი და ძარღვიანი ფოთლები, მუქი ფერისაა, რომლებიც ქვემო-დან შემოსილია პატარა ბუსუსით, ამას უყვარს ხმელი ნიადაგი და მზისაგან მოფარებული ადგილები. მის მასალას ხმარობენ სადურგ-ლოებში ნაყოფით ამზადებენ მშვე-ნიერ მურაბას და სხვა და სხვა სა-სმელებს, საჭმელადაც სასიამოვ-ნო გემრიელი საჭმელია, მის ქერქს და ფესვებს ხმარობენ პეპელა-ჭიის წინააღმდეგ (противъ солитера) ხე ცოცხლობს დიდხანს, მრავლ-დება თესლით შემოდგომით და გაზაფხულობით, ოღონდ ნამყენე-ბით კი გაზაფხულობით და ზაფ-ხულობით, მაგრამ მსხვილ და გემ-რიელ ნაყოფის მიღებისათვის ყო-ველთვის უნდა ამყნოთ. ამ თუთის ფოთლებით არა დროს არა ჰკვე-ბავენ აბრეშუმის ჭიას, რადგანაც აბრეშუმი არ გამოდის კარგი ღირ-სებისა. ქერქი და ფესვები უნდა კარგათ მოიხარშოს წყალში, მერე ნახარში გადაწურეთ, გააციეთ და ისე დალიეთ უზმოზე.

კაკალი. (ქართული) ნიგოზი (იმე-რული, გურული) ნეძი (მეგრუ-ლი) ენგუს (სომხური) ყოზ, დჯაუზ (თათრული) ანგუზ (ოსური) მიკ, მეკ, ვაკარ, ხეტლე (ლეკური) ორეხოვოე დერევო, ორეშინა, ვოლოშსკი ორეხ (რუსული) იუგ-ლანს რეგია (ლათინური) ბევრი სხვა და სხვა ჯურისაა, ზოგი მათ-ში ადრეულია, ზოგი თხელ კა-ნიანია, ზოგი კირკიტაც. გვარობს ყველგან და ყველა ნიადაგზე, გარ-და ნოტიო ნიადაგისა, რადგანაც ნოტიო ნიადაგზე ნახარებ მცე-ნარეს ყოველთვის მოაქვს ჭიანი და უხეირო ნაყოფი, რომელიც ოჯახ-ში სახმარებლათ არვარგა. მცე-ნარე ერთ სახლობიანია (ОДНО-ДОМНАЯ), ე. ი. იმავე ერთ ხეზე იმყოფებიან მამალი და დედალი ყვავილები (мужскіе и женскіе цвѣты). ყვავის მოყვითალო ფრათ, მამალი ყვავილი მოგრძელო აგე-ბულებისაა მოკლეა, რომლებიც იმყოფებიან მაღლა ტოტებზე ხან თითო ხან კიდევ, ორი-სამი ერ-თად, ტოტები და ყლორტები შე-მოსილია მსხვილ მოგრძელო ფოთ-ლებით, როგორც გამძლე ხე, გათქ-მულია მთელ დედამიწის ზურგზე, ამისათვის მის მასალას უჭირავს მეურნეობაში უპირველესი ადგი-ლი. მეტადრე კუნძებს (канловъ). არც მის ნაყოფს უჭირავს ნაკლე-ბი ადგილი, ნაყოფით ამზადებენ მშვენიერ ზეთს, ჩურჩხელებს და საჭმელადაც კარგი სასიამოვნო და გემრიელი ხილია. ხელით დასრე-სილ ფოთლებს ასდის მშ... სასიამოვნო სუნი.

შემოუსვლელ ნაყოფით (წენგ-თი) ამზადებენ მშვენიერ მურაბას ხდიან არაყს, მის გამონაწურ... წვენს თაფლში არეულს, ხმა-რობენ ყელის ტკივილის წინააღმ... მოხარშული ნაყოფის წვენ... ...რი ქ...

* „ცნ. ფურც.“ № [illegible]03.

შული ფოთლების წვენში აბანავებენ სურავანდიან ყმაწვილებს (ЗОЛОТУШНЫХЪ). გარდა ამისა ვისაც ჩამოსდის თმა, კარგია იბანოს ფოთლების მოხარშულ წყალში. დაკეცილი ტანისამოსი მეტადრე ტყავისა და მაუდისა ან დრაფისა რომ არ გააფუჭოს რჩილმა, სჯობია შიგა და შიგ მოჰფინოთ კაკლის ფოთლები, რომლის სუნიც ეჯავრება რჩილს. ხე ცოცხლობს სამას წლამდისინ, მრავლდება თესლით გაზაფხულობით და შემოდგომით.

არჩილ დარეჯანაშვილი

(შემდეგი იქნება)

## ყურმოკრული საუბარი

—

ერთი არყის მოტრფიალე კაცი—თავშიშველა და მელოტი მივიდა ექიმთან და სთხოვა ისეთი წამალი დამიწერეთ, რომ თავზე ბალანი ამომივდეს.

ექიმმა ურჩია ხანდისხან არაყით დაისველეთ თავიო. ამაზე მელოტმა უპასუხა:

— არაყს რომ ბალნის ამოყვანა შეეძლოს, ჩემს ყელში ცხენის კუდის სიგრძე ბალანი უნდა ამომსვლოდაო.

## გამოსადეგი ცნობა

—

საშუალება ბნედის წინააღმდეგ. ბნედით ავადმყოფნი იშვიათნი არ არიან ცხოვრებაში და მეტად საშიშიც არის ეს სნეულება, მით უფრო, რომ ამ სენით შეპყრობილმა ადამიანმა არ იცის რა დროს მოუვა, ან სად მოუვა. ამიტომ საჭიროა უოველივე უბედურების ასაცდენათ პატრონებმა თვალ-ყური ადევნონ და უპატრონოდ არსად გაუშვან. ბნედით ავადმყოფი, ვიდრე გული შეუღონდებოდეს, სრულიად საღად გრძნობს თავს, ხოლო როცა მოუვლის, გონებას ჰკარგავს და უცებ გრძნობა-დაკარგული ძირს ეცემა. მოსდის მთელი სხეულის კანკალი, პირიდგან ქაფი და მხედველობას ჰკარგავს. როცა ავადმყოფს ბნედა მოსდის, უნდა დააწვინოთ სახლში, გაუხსნათ სრულიად ტანისამოსი, რომ არ შეაწუხოს, კბილებში უნდა რბილი რამ ჩაუდოთ, ან ბამბა, ან კიდევ დაახვიოთ რამე კოვზის ტარს და ისე გაუკეთოთ, რომ ენა არ მოიკვნიტოს, რადგანაც საშინელი კბილების კრაჭუნი მოსდის. როცა ავადმყოფი თრთის და ცახცა-[...]ის წინააღმდეგ არაფერი ზო-[...]უნდა მიიღოთ, რადგანაც ძალიან [...]ძავნებელია; საჭიროა ზიდოთ და [...]უნებიინოთ „ამიაკი“. (მაგარი სასუნ-[...]ნებელი, [...]მელიც ცრემლებს კადმოა-[...]ვინებს ხოლმე ადამიანს). ქსოვ-[...]ბა უნდა მიიღოთ გულის ურის

## სხვა-და-სხვა ამბავი

—

ამერიკელი ბავშვები. ნიუ-იორკიდან ერთს გასაოცარს ამბავს იუწყებიან ამერიკელი ბავშვების შესახებ. ამერიკელი ბავშვები გაზეთებს სცემენ, ბავშვებისთვისვე საკითხავათ. ერთი 13 წლის ყმაწვილი სახელად ჟორჟ შტეულერ ორთქლით მატარებლის გემზედ მაშინისტათ ემსახურება და რამდენჯერმე შემოუვლია უდიდესი ოკეანები. ერთი 8 წლის ყმაწვილი, სახელად გარრი დიუგანი თავის მამას თან ემსახურება, რომელიც ტყავებით ვაჭრობს, ბავშვმა იმოგზაურა 600 მილი ვერსი, გაუდა 300 დადადის სავაჭრო და ისევ შინ დაბრუნდა. 12 წლის ყმაწვილები გამოდიან საერთო ყრილობებში და პოლიტიკურს საგნებზედ დიდის გატაცებით მსჯელობენ. მათ შორის განსაკუთრებითი ყურადღება მიიქცია თავის მჭერმეტყველობით ფრანკ ვატრონმა, რომლის გარეშემო დიდ ძალი ხალხი იკრიბება და უგდებენ ყურს. თუმც მისგან წარმოთქმული აზრები მეტი ნაწილი გაზეთ-ჟურნალებიდგან არის ამოკრებილი მაგრამ მაინცა და მაინც დიდათ აინტერესებს საზოგადოებას.

# წვრილი ამბავი

—

საშინელი ცეცხლი. 25 ნოემბერს, ღამის სამ საათზე, სან-ფრანცისკოში ცეცხლი წაეკიდა სასტუმრო ბალდლინს, ცეცხლი ისე სწრაფად გაძლიერდა და მოედვა კიბეებს და გადერეფნებს, რომ 320 მდგმურისაგან, რომლებსაც სასტუმროში ეძინათ, მხოლოდ რამდენიმემ უშველა თავს. სასტუმროს პატრონმა ბალდლინმა გადაარჩინა 7 ქალი, სანამ თვითონ არ შეიქმნა ცეცხლის მსხვერპლი. მილიონერმა ვაიტმა აგრეთვე გადაარჩინა 5 კაცი, მაგრამ როცა ცდილობდა მეექვსე კაცის გადარჩენას, გადმოვარდა 60 ფუტის სიმაღლიდან და სასიკვდილოდ დაიმტვრა. ერთმა მოხუცმა რომელიც ამაოდ ცდილობდა ახალგაზდა ქალის, ალბად თავისი ქალიშვილის, გადარჩენას, იქვე რევოლვერი დაიცა გულში. ბევრი მე-4, მე 5 და მე-6 სართულის ფანჯრებიდან გადახტა და და მძიმედ დაშავდნენ.

—

მდიდარი როტშილდის სიკვდილი. ლონდონიდან დეპეშით იუწყებიან: გარდაიცვალა თავის სასახლეში ლონდონის საბანკო სახლის თავი ფერდინანდ როტშილდი, რომელიც ქვეყანაზე ცნობილ ფრანგ როტშილდებს ნათესაობით ეკუთვნოდათ. გარდაიცვალა უშვილძიროდ. განსვენებული მწერლობას მფარველობდა და კიდეც დაწერა რამდენიმე თხზულება, მაგალითად: წიგნი ტრანსვაალზედ და სხ. მისი მუზეუმი ერთი საუკეთესო მუზეუმთაგანია მთელს ხმელეთზედ.


# ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1899 ГОДЪ

НА ЕЖЕДНЕВНУЮ ПОЛИТИЧ. И ЛИТЕРАТУРНУЮ ГАЗЕТ[У]

# „НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“

(ШЕСТНАДЦАТЫЙ ГОДЪ ИЗДАНІЯ)

Въ 1899 г. «Новое Обозрѣніе» будетъ выходить **въ Тифлисѣ**, какъ и въ прошлые годы, ежедневно, по программѣ бол[ь]шихъ столичныхъ газетъ. Въ газетѣ въ истекающемъ году пр[и]нимали участе: **К. С. Баранцевичи, М. Гіоргидзе, И. Зурабишвили, Ивановичъ, Иванъ-да-Морья, Л. Кипіани, Лали, В. Лункевичъ, А. На—, Монголъ, А. Хах—овъ и др.**

**УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:** съ пересылкою и доставкою: на годъ **10 р.**, на полгода **6 р.**, на три мѣсяца—**3 р. 50 к.**, на оди[нъ] мѣсяцъ—**1 р. 50 к.** *За границу:* на годъ—**17 р.**, на полгода—[...] на три мѣсяца—**5 р.** (Подписка принимается не иначе какъ с[ч]тая съ перваго числа любого мѣсяца). Для сельскихъ учител[ей] льгота: подписная цѣна на годъ—**7 р.**, полгода—**4 р.**

**ДЛЯ ГОДОВЫХЪ ПОДПИСЧИКОВЪ**, какъ городскихъ, такъ [и] иногородныхъ, обращающихся непосредственно въ контору [ре]дакціи, **ДОПУСКАЕТСЯ РАЗСРОЧКА** на слѣдующихъ условіях[ъ]: при подпискѣ вносится—3 р., къ 1-му марта—2 р., къ 1-[му] мая—3 р. и къ 1-му сентября—2 р.

Подписка и объявленія принимаются **ВЪ ТИФЛИСѢ: въ конто[рѣ] газеты, Барятинская ул., № 8.**

Подписка и объявленія принимаются: въ **ТИФЛИСѢ**—въ ко[н]торѣ газеты, Барятинская ул., № 8; въ **Батумѣ**—въ книжном[ъ] агентствѣ М. И. Николадзе; въ **Кутаисѣ**—въ книжн. магазина[хъ] Чиладзе и Бежанейшвили. (6—[...])

Принимается подписка

на полное иллюстрированное и комментированное собраніе сочиненій

# ШИЛЛЕРА

съ иллюстраціями Каульбаха, Лиценъ-Майера и др. и коммента[-]ріями по Дюнцеру, Шерру, Карьеру, Фигофу и др.. Издан[іе] выходитъ выпусками: всѣхъ выпусковъ будетъ 30, что соста[-]витъ около 2000 страницъ. Первый выпускъ выйдетъ къ 1[-му] октября 1898 г., второй черезъ мѣсяцъ послѣ перваго; начи[-]ная съ третьяго, выпуски будутъ выходить черезъ двѣ недѣл[и].

**Цѣна безъ доставки 8 руб., съ доставкою и пересылкой 10 руб.**

*Допускается разсрочка:* при подпискѣ вносится 2 руб. (съ пересылкою 3 [р.]), послѣ выхода 2-го выпуска 1 руб. и затѣмъ ежемѣсячно по 1 рублю.

Подписка принимается у книгопродовца Голованова. **Москва, Бо[ль]шая Никитская, домъ кн. Шаховской-Глѣбовой-Стрѣшневой.**

ТАМЪ ЖЕ ПРОДАЕТСЯ КНИГА

**Данте. АДЪ.** Пер. Н. Голованова, съ 24 рисунками Густава Д[о]ре и 587 примѣчаніями. Текстъ перевода просмотрѣнъ проф. Буслаевымъ. Допущенъ У. К. М. Н. Пр. въ безплатныя чита[ль]ни. Цѣна 2 руб.

გამოვიდა მეორე წიგნი

რუსულ-ქართულის ენციკლოპედიურის ლექსიკონის

ივანე როსტომაშვილის რედაქციით.

ფასი მთელის გამოცემისა (12 წიგნისა, დიდის ზომისა, თითო 200 გვერდამდე, წვრილის ასოებით დაბეჭდილი)—მარტო **12 მან.**, რომელიც ხელის-მომწერთ შეუძლიანთ ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანონ: პირველად ორი მანეთი (გაეგზავნებათ ორი წიგნი), ხოლო დანარჩენი ათი მანეთი ისევ ორ-ორ მანეთობით ახალის წიგნების მიღების შემდეგ.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ რუსულს ენაზე ასეთი ლექსიკონები ორს ხუთი და ათი თუმნები და ვერც ჩვენს მკითხველს აკმაყოფილებენ სავსებით. რადგანაც მათში თითქმის არაფერი ცნობა არ მოიპოვება ჩვენის ქვეყნის შესახებ,—ყველა დაგვეთანხმება, რომ მოხსენებული ფასი ჩვენის ლექსიკონისა სულ მცირეა და ამიტომ ყველასათვის ხელ-მისაწვდომი. მესამე წიგნი ამოვა **30ნ-ზე** გამოვა მარტის გასულს. თფილისში ხელის-მოწერა მიიღება ავტორთან, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების და ბ. ხიდეკელის წიგნების მაღაზიებში, ხოლო ქალაქ გარეშე ხელის-მომწერლებმა ფული და წერილები უნდა გამოგზავნონ: въ Тифлисъ, Давид. площ. № 6, Ивану Павловичу Ростомову.

(8—5)